მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

შპს "ბიოსაწვავი საქართველოს" ბიოსაწვავის საწარმოს
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

10 თებერვალი, 2014 წ.

წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს შპს "ბიოსაწვავი საქართველოს" ბიოსაწვავის საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშზე:

1. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო განხილვისათვის წარმოდგენილი გზშ ანგარიში მეტად დაბალი ხარისხისაა. დოკუმენტში საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტის მიზანშეწონილობის დასაბუთება, პროექტის საერთო ღირებულება. ასევე, არ არის განხილული პროექტის საჭიროება; თუ რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს აღნიშნული საწარმოს ფუნქციონირება რეგიონს და ზოგადად, ქვეყანას. მხოლოდ ამ სახის ინფორმაცია, რომ *„საწარმოში ადგილობრივი მოსახლეობიდან **შესაძლებელია** დასაქმდეს 8-10 ადამიანი"* არასაკმარისია.

ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უკეთ შეაფასონ პროექტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

2. გზშ ანგარიშში მეტად ზედაპირულადაა განხილული, თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს გარემოზე, ახლომდებარე დასახლებულ არეალზე; არ არის შეფასებული ზეგავლენის მნიშვნელობა, მასშტაბები და შესაბამისად არ არის დადგენილი შემარბილებელი ღონისძიებები.

3. ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც კი, როგორიცაა დაშორება უახლესი დასახლებული არეალიდან არაზუსტადაა წარმოდგენილი გზშ ანგარიშში. დოკუმენტში ნათქვამია, რომ საწარმოდან „უახლოესი დასახლებული სახლი დაშორებულია 80 მეტრით"; მაშინ, როდესაც დაშორება, რეალურად, დაახლოებით 20 მეტრია.

4. გზშ ანგარიშის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაკლოვანებას ალტერნატიული ვარიანტების განუხილველობა წარმოადგენს. დოკუმენტში მოცემულია სულ რაღაც გვერდნახევრიანი მე-5 ქვეთავი „ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები და ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი და შერჩევა", სადაც წარმოდგენილია ალტერნატივების ანალიზის მხოლოდ თეორიული მიმოხილვაა. ანგარიშში საერთოდ არ არის განხილული ნულოვანი და ადგილმდებარეობების ალტერნატივები (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს განთავსების ტერიტორიად შერჩეულია საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული არეალი).

5. მსგავსი ტიპის საქმიანობის განხორციელების დროს სრულად და ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ემისიების საკითხი, მისი გავლენა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე და შესაბამისად, დადგენილ იქნეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ეს საკითხი კი, გზშ ანგარიშში მეტად არასრულყოფილად და ზედაპირულადაა წარმოდგენილი. არაა მოცემული შესაბამისი გათვლები. დაბნეულობას იწვევს დოკუმენტში მოცემული სხვადასხვა სახის მონაცემები. გზშ ანგარიშში მოცემულია ცხრილი #17 „მავნე

ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები“. შემდეგ დოკუმენტში არაერთხელაა ნათქვამი, რომ გამოყოფილი ემისიების რაოდენობა არ გადააჭარბებს ზდკ-ებს. შემდეგ კი მე-12 ქვეთავში „გარემოს მოსალოდნელი მდგომარეობის პროგნოზი“ მოცემულია, მტვრის, მეთანოლის და მეთილლანოლების მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაციების რაოდენობები, რომლებიც მეტად აჭარბებს 8.3 ქვეთავში არსებულ ცხრილში მოცემულ ზდკ-ებს. მაგალითისთვის, როგორც გზშ ანგარიშშია მოცემული, ერთ-ერთი ძლიერი მომწამლავი ნივთიერების მეთანოლის ამოორთქლება მოხდება დაახლოებით 3 საათის განმავლობაში; ამდენად, ძალზე მნიშვნელოვანია, გარქვევების საკითხი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით იქნეს შესწავლილი. აქვე აღვნიშნავთ, რომ 8.8 ქვეთავში ნათქვამია, რომ დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის“ ცხრილი #19, რაც დოკუმენტში ასევე არაა წარმოდგენილი.

ასევე, ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია 80 მეტრი რადიუსის დაშორებით, თუმცა უახლოესი დასახლებული არეალი დაახლოებით 20 მეტრითაა დაშორებული საწარმოს დაგეგმილი ადგილმდებარეობიდან. გზშ დოკუმენტში ნათქვამია „*ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები დგინდება საწარმოდან დაშორებულ 80 მეტრიან რადიუსის მანძილზე*“.

6. ქვეთავები 6.5 „მცენარეული საფარი“ და 6.6 „ცხოველთა სამყარო“ ზედაპირულადაა მომზადებული. აქ წარმოდგენილი მასალა მკითხველს ვერ აძლევს მოსალოდნელი ზემოქმედების სრულად შეფასების საშუალებას, გამომდინარე იქედან, რომ მონაცემები ეყრდობა მხოლოდ ლიტერატურულ მონაცემებს. ასევე, დოკუმენტში არაა შესწავლილი და განხილული წითელი ნუსხისა და ენდემურ სახეობებზე მოსალოდნელი ზეგავლენა, ასეთი სახეობების გავრცელების შემთხვევაში..

გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილი სახეობები მოცემულია მხოლოდ ქართული სახელწოდებებით, ლათინური სახელწოდებების გარეშე.

7. მკითხველისათვის გაურკვეველია, რას გულისხმობს, მე-4 ქვეთავში „ძირითადი მონაცემები პროექტის შესახებ“ მოცემული წინადადება, რომ „*შენობაში, ტექნიკური პირობებისა და უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით განაწილებულია ბიოსაწვავის მისაღები დანადგარები, გადასამუშავებელი ნედლეულის, ტექნოლოგიურ ციკლში გამოყენეული ნივთიერებების და მიღებული პროდუქციის საწყობები, წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ინვენტარი და მოწყობილობები*“. მკითხველისათვის საბოლოოდ გაურკვეველია, უკვე განთავსებულია, თუ არა ტერიტორიაზე რაიმე ტიპის დანადგარები და მიმდინარეობს თუ არა საქმიანობა ტერიტორიაზე. როგორც გზშ ანგარიშის განხილვის დღეს აღმოჩნდა, კომპანიას უკვე განთავსებული აქვს დანადგარები გზშ ანგარიშში განხილულ (შერჩეულ) საწარმოო ტერიტორიაზე.

8. გზშ კვლევისა და შესაბამისად, ანგარიშის მეტად ზედაპირულ ხასიათს ადასტურებს დოკუმენტში მოცემული არაერთი წინადადება, როგორიცაა, მაგალითად: *„მდ. გლდანისხევში **შესაძლებელია** მოხვდეს საწარმოს ტერიტორიიდან გამოსული სანიაღვრე (ატმოსფერული ნალექების) წყლები“; „საწარმოს გარშემო **არ ჩატარებულა გამოკვლევები ნიადაგის დაბინძურებაზე**“; „ატმოსფერული დაბინძურების ჰაერის ფონი საწარმოს მიმდებარე ტერიტორიისათვის **დადგენილი არ არის**“; „საწარმოში ადგილობრივი მოსახლეობიდან **შესაძლებელია** დასაქმდეს 8-10 ადამიანი*“..

9. გზშ ანგარიშში ნათქვამია, რომ *„ნიადაგის დაბინძურების ალბათობა შესაძლებელია საწარმოს ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს და მისი გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე **უმნიშვნელო** იქნება“.* იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოდან უახლოესი დასახლებული არეალი დაახლოებით 20 მეტრის მანძილზე მდებარეობს (დოკუმენტში კი, უახლოესი დასახლებული არეალიდან დაშორებად 80 მეტრია

მოცემული), ასეთი განცხადებები არასანდოა. აუცილებელია, უკეთ შეფასდეს და გაითვალოს, თუ რა ზეგავლენა ექნება აღნიშნულს უშუალოდ საწარმოსთან ახლოს მდებარე დასახლებაზე და ამის საფუძველზე მოხდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დადგენა.

10. ნარჩენების განთავსების საკითხიც ერთ-ერთი უსუსტესია გზშ ანგარიშში; ის მეტად ზედაპირულად და არასრულყოფილადაა განხილული. არ არის მითითებული, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი წარმოქმნილი ნარჩენის განთავსებაზე. აგრეთვე არ არის დაკონკრეტებული, თუ სად მოხდება საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების განთავსება. ანგარიშში ნათქვამია, რომ „*სახიფათო ნარჩენების გადაცემა მოხდება იმ საწარმოებზე, ვინც უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად*“. თუმცა, ვინ იქნება პასუხისმგებელი პირი და სად მოხდება მისი საბოლოო განთავსება მოცემული არ არის.

რაც შეეხება მყარი ნარჩენების განთავსებას, ნათქვამია, რომ მათი განთავსება მოხდება ნაგავსაყრელებზე, თუმცა, რომელ ნაგავსაყრელზე, ასევე არაა დაზუსტებული გზშ ანგარიშში.

11. გზშ ანგარიშში ასევე მეტად ზედაპირულადაა წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებები. ის სულ რაღაც ერთ გვერდს მოიცავს და ცხრილი #21-ის სახითაა მოცემული.

12. როგორც უკვე აღვნიშნეთ, გზშ ანგარიშში მხოლოდ თეორიულადაა განხილული არაერთი ქვეთავი როგორიცაა, „ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი და შერჩევა“, „ელექტრომაგნიტური გამოსხივება“ და ა.შ. ქვეთავში „ელექტრომაგნიტური გამოსხივება“ ნათქვამია, რომ „რადიოსიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ინტენსივობის ფონური (ფაქტიური) დონეები არ აღემატება ზღვრულად დასაშვებ დონეებს (10 მკვტ/სმ^2)“. თუმცა ამის გასამყარებლად გზშ ანგარიშში არანაირი სახის მონაცემი არაა მოცემული.

ასევე 6.9 ქვეთავში „ისტორიული ძეგლები და კულტურული ფასეულობები“ ნათქვამია, რომ „*საწარმოს და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (500 მეტრის რადიუსში) ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები და სხვა კულტურული ფასეულობები არ აღრიცხულა და მათზე ზემოქმედება პროექტში არ განიხილება*“. თუმცა, შემდეგ, როგორც საჯარო განხილვაზე დამსწრე ადგილობრივი მოსახლეობისგან გაირკვა, მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

13. საზოგადოებრივი განხილვისათვის წარმოდგენილი გზშ ანგარიშის არასრულყოფილებას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ანგარიშის დასასრულს მოცემულ დანართების ჩამონათვალში მოხსენიებული არცერთი დოკუმენტი (ტოპორუკა საწარმოს მდებარეობის ჩვენებით, ორთოფოტო საწარმოს მდებარეობის ჩვენებით, საწარმოს გეგმა, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის კომპიუტერული გაანგარიშება, საკადასტრო გეგმა) რეალურად არ ახლავს განსახილველ დოკუმენტს.

14. ანგარიშის მე-16 ქვეთავში „საზოგადოების ინფორმირება და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა“ ნათქვამია, რომ *„საზოგადოებას წარედგინა გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე, არატექნიკური რეზიუმე, შესაბამისი გრაფიკული და საილუსტრაციო მასალებთან ერთად“.* მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელები განხილვის წინა დღეს იმყოფებოდნენ საპროექტო ტერიტორიაზე და ესაუბრენ დაგეგმილი საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს. როგორც აღმოჩნდა, სოფ. გლდანის (მამკოდა) მოსახლეობის არცერთ წარმომადგენელს არ ჰქონდა ინფორმაცია გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ. მათ ისიც კი არ ჰქონდათ გაგებული, რომ თურმე,

დასახლებაში კომპანია „ბიოსაწვავი საქართველოს“ ოფისი მდებარეობდა. ამ ინფორმაციას არ ფლობდნენ საწარმოდან დაახლოებით 20 მეტრით დაშორებული მაცხოვრებლები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშს არანაირი მსგავსი ტიპის დოკუმენტები არ ახლდა თან, ნათელია, რომ კომპანიას საზოგადოებისათვის საერთოდ არ წარუდგენია *„გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოკლე, არატექნიკური რეზიუმე, შესაბამისი გრაფიკული და საილუსტრაციო მასალებთან ერთად“*.

დასასრულს უნდა ითქვას, რომ 2014 წ. 27 იანვარს ჩატარებული საჯარო განხილვა (რომელსაც ვერც კი დავარქმევთ საჯარო განხილვას ქვემოთ აღწერილი გარემოებების გამო), ატარებდა მეტად ფორმალურ ხასიათს. ამასთან, ნათელი იყო ისიც, რომ კომპანიის წარმომადგენლებს საერთოდ არ გაუწევიათ ძალისხმევა ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველსაყოფად (მოსახლეობამ დაგეგმილი საქმიანობის და საჯარო განხილვის შესახებ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებისგან შეიტყო). გარდა ამისა, პროექტის განმახორციელებლებს არ ჰქონდათ ადგილობრივი მოსახლეობისა, თუ სხვა დაინტერესებული პირების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხები.

საჯარო განხილვა ჩატარდა ყოვლად შეუფერებელ გარემოში: განხილვისთვის განკუთვნილი ფართი წარმოადგენდა მოუწყობელ საამქროს; არ იყო საკამარისი რაოდენობის სკამები განხილვაში მონაწილეობის მსურველი მოქალაქეებისთვის; შენობაში მეტად ციოდა; კომპანიისთვის შენიშვნების წარდგენა, იმის გამო, რომ სიტუაცია მეტად დაძაბული იყო, ვერ მოხერხდა. პროექტის განმახორციელებელმა არ წარადგინა პროექტი - დაგეგმილ საქმიანობაზე ინფორმაციის წარდგენა სულ რამოდენიმე წინადადებით შემოიფარგლა.

ზემოთ მოყვანილი შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი სახით გზშ ანგარიშის წარდგენა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის / გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად, ყოვლად მიზანშეუწონელია.